ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 95. კვირა, 29 აგვისტო 1910 წ. დამატების № 16

ალექსანდრე მაკედონელი და მისი ცხენი.

სურათი შომმერისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲔᲛᲐᲜᲘ

ვოდევილი 1 მოქ. გად. ი. გრიშაშვილისა.

(დასასრული *)

კოლა. ახ, პარდონ... მომიტევეთ! არა რა სულელი ვარ თქვენი პირიმე... აქამდის რად არ მამაგონდა, რომ ქალებს და განსაკუთრებით კი შეყვარებულ ქალებს ძრიელ უყვართ ყვავილები? მაგრამ არა უშავს-რა სამაგიეროთ მთელ ბუჩქს ამოვგლეჯ. (ჭგდეჯს იასამანს).

ელო. არა, არა ყველა ტოტებს ნუ დასწყეტ... კიდევ დასტოვე.

კოლა. რადა?

ელო. შემდეგისთვის.

კოლა. (ადფრთოვნებული) შემდეგისთვის?.. კეთილი. (დაჭრეფს იასამანს, ამოიდებს ჯიბიდან ტასოს ტუფლის ბანტს, რომელსაც ჯერ დიდხან დაჭეურებს, მერე შეჭრავს კონად და მისთავაზებს ელოს). უკაცრავად, სხვა არაფერი არა მქონდა და ამიტომაც ტასოს ბანტით შევკარი...

ელო. (იქით) ტასოს ბანტით? რა მსხვერპლია და!..

კოლა. იცით!.. თქვენ უფრო მშვენიერი ხართ ყვავილებზე განა?.. (იქით) ეშმაკმა იცის ეხლა რა მდგომარეობაში ვარ. როგორლაც მომწონს... (უეურებს).

ელო. (იქით) თუმცა კოლოტივით გაბერილა, მაგრამ მიმზიდველი კია...

კოლა. (იქით) ღმერთმანი, მეტი აღარ შემიძლიან, მაგრამ ბალა ეს არის როგორ გავაგებინო ჩემი რომანიულ-დრამატიული მდგომარეობა? მაგან უკვე იცის რომ მე აქ ტასოსთვის მოველი და არა ამისთვის.

ელო. (იქით) აბა, როგორ უთხრა, რომ მე... არა, არ შემიძლიან მაგან უკვე იცის რომ ამ რამდენიმე წუთის წინ მე გიორგი მიყვარდა.

კოლა. (იქით) ნეტა ვიცოდე, რატომ ასე ხესავით გავშეშდი? ეს ოჩერი სიყვარულის გამოცხადებაზე ძნელი არა არის-რა მთელ ქვეყანაზე!

ელო. ისევ თვითონ არის დამნაშავე!.. რომ შემიყვარდა... (ეძებს ბედის იასამანს).

კოლა. რას ეძებთ?

ელო. ბედს.

კოლა. იასამანში?

ელო. განა თქვენ არ იცით ბედის მოძებნა იასამანში? ეი, ასეა, უნდა ეძებოთ ისეთი ყვავილი რომელსაც ოთხი ფოთოლი კი არ ექმნება, არამედ ხუთი ან ექვსი. გინდა მოდი ერთად მოვსძებნოთ!!..

კოლა. ძალიან კარგი. (ორთაგენი ეძებენ. სიჩუმე. კოლა ამოგდეჯს) ვიპოვნე... ვიპოვნე!

ელო. მეც... მეც ვიპოვნე.

კოლა. სჩანს ბედს ვერ წაუვალთ.

ელო. აბა, შენი კოლა როგორ ბინდი-ბუნდი მოახლოვდა... ლამდება.. ეხ, რა პოეტური საღამოა?.. კოლა, შენ გიყვარს არა ბინდ-ბუნდი?..

კოლა. ისეთი, როგორიც დღევანდელია—მიყვარს!..

ელო. რა სასიამოვნოა ასეთ დროს იჯდე სადმე დაბურულ ხეივანში... და...

კოლა. და მუსაიფობდე რომელიმე საყვარელ არსებასთან და ოცნებით კი ფრინავდე შორს... შორს.

ელო. ჩუ! ნელა თორემ შეიძლება ნიავმა გაიგონოს.

კოლა. გაიგონოს რა? თუ კი ის ასე გულ-წრფელად დაგვქრის თავს და ცაცხვ-იასამანის სურნელებას გვთავაზობს?..

ᲡᲐᲢᲠᲤᲝᲡ ᲔᲫᲐᲮᲘᲡ!

ზეიფერტის ნახატი.

ელო. მართალია, მაგრამ ენა ტანია?.. შეიძლება დაგვაბეზღოს მშობლებთან...

კოლა. რა უყოთ მერე? ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარს?

ელო. ახ, რა მყუდროებაა?.. ყველა ფრინველნი ჩაჩუმდნენ, მხოლოდ მარტო „ვარდის ერთგული“ არ სცხრება და დაჭკვნესს თავის საოცნებო ხმებს... მე არ მინდა სახლში წასვლა... დედა გამიჯავრდება.

კოლა. არც მე მინდა.

ელო. (ერთბაშათ შეჭკივდებს და მიეურდნობა კოლას).

*) იხ. სურათებიანი დამატება № 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლა. რა დაგემართოთ?

ელო. რაღაცამ გადაირბინა... აგერ აგერ...

კოლა. ეგ ხომ ღამურაა?

ელო. ღამურა? მე კი, როგორ შემეშინდა.

კოლა. იცით მე თქვენ აი ამ პაწია ბეჭედს მოგცემთ სახსოვრად თუმცა ძვირფასი არ არის, მაგრამ ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“ ო (თითზედ გაუკეთებს) ჰხედავ გარს როგორ შემოგეჭდო ეს ბეჭედი? ახ, ნეტავ ჩემი გულიც ეგრე ფაქიზად შემოეჭედოს შენ გულ-მკერდს...

ელო. (თითს დაჭკრავს ცხვირზედ) გიჟო!

კოლა. (ხედს დაუჭერს, დაეწაფება და მხურვალედ აკოცებს) ახ, მომიტევეთ ძვირფასო ელო. მე თვით არ მესმის რას ჩავდივარ... ღმერთმანი მე არა ვარ დამნაშავე... ეს ბუნება, ეს მყუდროება, ეს ბულბული, ეს ყვავილები, ჰარმონია, პოეზია, ეს მომხიბლავი ღამე...

ბედნიერი დედა.

სურათი ლ. გოდბერისა.

ელო. როგორ თუ ღამე? დღე კი აღარ შეგიძლიან გაიმეორე ყოველივე ეს?

კოლა. (დაიჩოქებს) ელო, ელენე, ელიკო, ელა, ელუ შკა სულო, გულო, ჩემო კეთილო! შენი გულისთვის ყველაფერს ჩავიდენ... თუ მიბძანებ არც არაფერს შევჭამ... არც დავლევ და არც დავიძინებ, ოღონდ შენ გიკურო, შენს გვერდით ვიყო და სულ სიყვარულზე გელაპარაკო.

ელო. (ხედებს დაუჭერს) მე ხომ არასიდეს არ მომწყინდება სიყვარულზე ბაასი. (ადგებს) აბა ეხლა კი წავიდეთ სახლში თორემ დამიგვიანდება, თქვენ მარჯვნივ წახვალთ და მე კიდე მარცხნივ!

კოლა. მე თქვენ სახლამდის მიგაცილებთ—და იქიდან გამომემშვიდობებით მხოლოდ ჩვეულებრივათ კი არა.

ელო. რა გაეწყობა... აგრე იყოს მხოლოდ გზაზე ხელი არ დამიჭირო და ჭკვიანათ მომყე, თორემ დედა შემამჩნევს და გამტყეპავს. ქუდიც მოიხადეთ, რადგან ბნელაში უფრო ნათლად სჩანს.

კოლა. დიდის სიამოვნებით.

ელო. ამასთანავე მიიღეთ მხედველობაში, რომ შეყვარებულთ არ უნდა ატარონ თეთრი ქუდები. იმიტომ რომ...

კოლა. იმიტომ რომ... (მიიზიდავენ ერთმანეთს, და აკოცებენ. ამდროს შემოდიან სხვა და სხვა მხრიდან გიორგი და ტასო და რა დაინახავენ გადახვეულებს მაშინათვე შედგებიან და გაკვირვებულნი უცქერიან, ელენე და კოლა მოშორდებიან).

გამოსვლა მესამე.

ტასო. (კოლას) იფ! რა ლაზათიანი კოცნა იყო და?!!

გიორგი. (ელენეს) კარგად ატარებთ დროს უჩემოთ?

ტასო. (მიგა კოლასთან) მიპასუხე ჩქარა ვინ არის ეგ გომბიო?

კოლა. ვინ არის და... რა ვიცი?.. მე არაფერ შუაში ვარ!..

ტასო. ხმა კრინტი „მე არაფერ შუაში ვარ“! სწორედ შენა ხარ შუაში შე საძაგელო შენა, მაშ ვინ არის? კარგად გიცნობთ რა შვილებიცა ბრძანდებით კაცები-გაგიწყდეთ სახელი (ჩუმად ედაბარაკება).

გიორგი. (მიგა ელენესთან) მიპასუხე ჩქარა, ვინ არის ეს ჩიტირეკია?

ელო. მე არა ვარ დამნაშავე!.. მე...

გიორგი. დაჩუმდი! „მე არა ვარ დამნაშავე“! გიცნობთ რა წითელი კოჭებიც ბრძანდებით ქალები. გაგიწყდეთ ქიქი!.. (ჩუმად ედაბარაკება).

ტასო. (კოლას) ეგ იყო შენი სიყვარული?.. მე რახანია მოველი სადაცა ვსთქვით... წყაროს პირას... ვიცდი... ვიცდი... თვალები დამიწყალდა ლოდინით და ეს კი აქ ვილაც გომბიასთან ჭუკჭუკებს... თვალით აღარ დამენახო, გესმის თუ არა?

კოლა. ჩვენ ამ ადგილასა ვთქვით... რამდენი ხანია მე გიცდი რომ არ მოხველი... მეც შენი ღალატისათვის სხვა შევიყვარე, მაშ? (ტასოს შეუტევს. ჩუმად დაბარაკობენ).

გიორგი. ეგ იყო შენი ფიცი „მიყვარხარ... გიორგიჯან, ღმერთმანი, ვდნებიო? მართალია მე დავიგვიანე, მაგრამ მაინც შენ ეს ნებას არ გაძლევს ასეთი სისაძაგლე ჩაიდინო... იქნება რაიმე მიზეზი იყო? იქნება გცდიდი? (ჩუმად დაბარაკობენ).

ტასო. (კაცხარებული მიგარდება ედოს) არა, როგორ არა გცხვენიანთ ჯერ დედამიწას არ ასცილებიხარ და ასეთ ეშმგზავსობას კი სჩადიხართ!.. კისერზედ ჩამოჰკიდებიხარ უცნობ კაცს.

ელო. მე ისე, ჩემს უნებურად... ჩვენ თითქმის...

ტასო. (აწუვეტინებს) ხმა ჩაიწყვიტე „მე ისე, ჩემს უნებურად“ (ჩუმათ მიმიკით დაბარაკობენ, ტასო არ აცდის დაბარაკს ედოს და გაცხარებული ხედების შდით ედაბარაკება, თანდათან უწევს კიდოს).

გიორგი. (კაკუთრებული მიუბრუნდება კოლას) არა, როგორ არა გრცხვენიანთ, ყმაწვილო, რომ გამოუცდელ ქალს აბრიყვებთ... მით უმეტეს მაშინ, როდესაც მე ის მიყვარს... მე თქვენ დუელში გიწვევთ.

კოლა. თკითონ დამელაპარაკა და მეც შევსტოპე.

გიორგი. „შევსტოპე“ შეგატოპინებ მე შენ? ასე კი ნუ მიყურებ?.. (თანდათან ცხარდებიან და ეგერიან).

ტასო. რაო? რაოო? სიტყვა მიეცი? მე შენ გასწავლი როგორ უნდა სიტყვის მიცემა! შე... საძაგელო, შე... შე... შე... (მიგარდება და დაითრევს ბუწუწებით... ჩხუბობენ ქოდგებით. შდაბები ძირს დაუგარდებათ...)

გიორგი. შენ როგორ მიბედავ? (სიდას კაწნავს. ქალები ცალ მხარეს ჩხუბობენ და ვაჟები კიდევ ცალ მხარეს... რა გულს მოიჯერებენ დაშოშმინდებიან. ედო კაიქცევა და მიეკრობა კოდას. ტასო მიმაბრუნებს გიორგის).

ტასო. ყმაწვილო, მოდი შური ვიძიოთ?

გიორგი. როგორ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. № 1.



სურ. № 2.

ტასო. თქვენ მე უნდა შემიყვაროთ და მე კიდევ თქვენ. ამით ჩვენ შურს ვიძიებთ.

გიორგი. ძალიან კარგი... მაშ მე თქვენ მიყვარხართ არა? კეთილი... თქვენც ხომ გიყვარვართ!..

ტასო. რასაკვირველია.

გიორგი. მაშ მაკოცე, ვეფხვო!

ტასო. ჰა, გენაცვალე. (ჩეოტნიან ერთმანეთს და იცინიან).

კოლა. ხომ ჩემი ხარ, გენაცვალე!..

ელო. რასაკვირველია?

კოლა. მაშ მაკოცე... ჯან!

ელო. მოიტა ტუჩები, (ჩეოტნიან ერთმანეთს და იცინიან).

ტასო. და) (ნიშის მოგებით ცხვირზედ დაფარჩხულ თი-
გიორგი.) თებს მიიდებენ და კოდას და ედოს დასცინიან).

ელო. და) (აგრეთვე ზიზღით გადახედავენ და ასევე უპა-
კოლა.) სუხებენ.

ფარდა.

ი. გრიშაშვილი.



სურ. № 3.

ძროხის ახალი საწველი მანქანა.

თუ მკითხველი დაუკვირდება ნახატებს ნათლად დაინახავს, თუ რა რიგათ უვლიან გერმანელები საქონელს. თავისთავად ცხადია, რომ საქონლის მოვლა ბევრი უჯდებათ, მაგრამ სამაგიეროთ კარგი შემოსავალიც აქვთ. ამ ბოლო ხანებში გამოიგონეს ელექტრონის ძალით წველა. როგორც ნახ. № 2 დაინახავთ საწველ მანქანით წველა ხდება ასე: ძროხას შემორტყმული აქვს უკან კუკუზოსთან მთელ მუცელზედ ქამარი, რომელიც უჭერს ჯიქანს და აგრეთვე მაგრა აყენებს მთელ მომართულობას. ამ ქამარზედ არის მიმაგრებული ლულა, რომელიც შეერთებულია მაღლა ელექტრონის ძალასთან. ამ ლულას თავზედ აქვს გაკეთებული რეზინი, რომელშიაც წველის დროს ძუძუს თავი უნდა გაუკეთდეს, რომ წველის დროს ელექტრონის ძალამ ძროხაზედ არ იმოქმედოს. შეერთებულია ლულა აგრეთვე ქვაბთან, რომელიც დგას ძირს და როდესაც მუშაობა სწარმოებს ელექტრონი ანძრევს ძუძუს და ამ გვარათ იწველება ძროხა. ერთ კაცს შეუძლიან ადვილათ მოწველოს 32 ძროხა 1½ საათის განმავლობაში. რძის ბურბელში ჩასხმა ხდება ავტომატიურათ, როგორც ნახ. № 3. არის ნაჩვენები. ეს მანქანა ძრიელ სახერხოა და აგრეთვე გიგიენურიც.

რ. გ—შვილი.

ძმ. ა. და ი. ალშვანგის

მოსკოვის სავაჭრო სახლი.

აუწყებს თავის პატივცემულ მუშტარს, რომ ის შეუთანხმდა

საბა მაროზოვის შვილს და კომპ. მოსკოვში

1 ივლისიდან ჩვენს მაღაზიაში

ტფილისი, სასახლის ქუჩ. ტელ. № 477.

გაიხსნა ახალი განყოფილება

სადაც საგანგებოდ გაიყიდება ნაკოლსკის სამანუფაქტურო საქონელი

საბა მაროზოვის შვილისა და კომპ.

საქონელი იყიდება საფაბრიკო პრეისკურანტების ფასებში. (4—6—3)

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხოინლულაშვილი. ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3